ხელშეკრულება № 13

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად (CPV 71600000 ; CPV 71630000)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "06" იანვარი 2021 წ. თბილისი.

ერთის მხრივ **შპს ,,სენტა ინსპექტირების ცენტრი"** (ს/ნ 404548771) წარმოდგენილი მისი დირექტორის სანდრო რაზმაძის სახით, შემდგომში ,,შემსრულებელი", და მეორეს მხრივ **„სახელმწიფო აუდიტის სამსახური"** (ს/ნ 202051956) წარმოდგენილი მისი საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ქინქლაძის სახით, შემდგომში ,,დამკვეთი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შემსრულებელი ვალდებულებია შეასრულოს 1.2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს შეთანხმებული ღირებულება;
1.2 შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენს:
ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე (საკადასტრო კოდი 01.17.10.011.096), შემსრულებლის მფლობელობაში არსებულ აკრედიტირებულ A ტიპის ინსპექტირების ორგანოში – ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში (აკრედიტაციის მოწმობა: GAჩ-IB-0234), დამკვეთის მფლობელობაში არსებული (ავტომანქანა „ტოიოტა ჰაიესი" სახ.№ SA-021-OG) ავტომობილის/სატრანსპორტო საშუალების
ტექნიკური დათვალიერება/შემოწმება – გზისთვის ვარგისიანობის დადგენა.
1.3 დამკვეთი ვალდებულია ავტომობილის/სატრანსპორტო საშუალების შემოწმებამდე შემსრულებელს მეილზე გადაუგზავნოს შემსრულებელს (sandro_razmadze@hotmail.com) შესამოწმებელი ავტომობილის მონაცემები (2 კალენდარული დღით ადრე) და ამის შემდგომ გამოცხადდეს ინსპექტირების ორგანოში.
1.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 1 ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის შეადგენს 100 (ასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 2. სამუშაოს შესრულების პირობები

2.1 შემსრულებელი უფლებამოსილია სამუშაოს შესასრულებლად დაიქირავოს ნებისმიერი სხვა პირი, რომელთა მიერ სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელია შემსრულებელი.
2.2 შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთის მფლობელობაში არსებული ავტომობილების/სატრანსპორტო საშუალებების სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ერთიან ბაზაში რეგისტრაციას და კანონმდებლობის შესაბამისად მათი გზისათვის ვარგისიანობის დადგენას.
2.3 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის საკუთრებაში არსებული რომელიმე ავტომობილი/ავტოსატრანსპოტო საშუალება ვერ დააკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 1 (ერთი) თვის განმავლობაში ხელახლა დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე შეამოწმოს იგი.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და მისი ღირებულება შეადგენს:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალება M2 - 100 (ასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2 დამკვეთის მიერ შემსრულებელზე წინამდებარე ხელშეკრულების გათვალიწინებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება/გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სამუშაოს შესრულების დღიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში (შემოწმებული ავტომობილების/სატრანსპორტო საშუელებების რაოდენობის პროპორციულად).
3.3 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს 1.2 პუნქტში გათვალისწინებული სამუშაო დამკვეთის მოთხოვნიდან საამისოდ გონივრულ ვადაში.
3.4. ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო შესრულება დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია:
4.1.1 შეასრულოს სამუშაო ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;

4.2 დამკვეთი ვალდებულია:
4.2.1 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მომსახურების საფასური;
4.2.2 დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია, რაც აუცილებელია სამუშაოს შესრულებისათვის;

4.2.3 კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ავტომობილი/ავტოსატრანსპორტო საშუალება ინსპექტირების ორგანოში/ცენტრში მიყვანის მომენტისათვის უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში;

4.3 შემსრულებელს უფლება აქვს:
4.3.1 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება დროულად, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

მუხლი 5. გარანტიები

5.1 ,,შემსრულებელი'' ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ:
5.1.1 მას აქვს სათანადო კვალიფიკაცია, გამოცდილება და შესაძლებლობა, რომ შეასრულოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და უფლებამოსილია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობა და იკისროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;
5.1.2 ,,შემსრულებლის'' და `დამკვეთის'' მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერა არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება მათ მიერ დადებულ არცერთ ხელშეკრულებას ან მის მიერ ნაკისრ სხვა ვალდებულებებს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა.

6.1ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება;
6.2 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და ანაზღაურებენ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი;
6.3 დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ანაზღაურების თანხის გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებემოსილია მოითხოვოს, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.3% თითეულ ვადაგადაცილებულ დღეზე

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და 1.2. პუნქტის ნაწილში მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო სხვა ვალდებულებების ნაწილში მის შესრულებამდე. შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად ვალდებულია მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:
7.2.1 მხარეთა შეთანხმდებით.

7.2.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რის შესახებაც ხელშეკრულების შეწყვეტის ინიცატორი მხარე, შესაბამის შეტყობინებას უგზავნის მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები.

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა ან უთანხმოება წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებით. იმ შემთხვევაში თუ ურთიერთშეთანხმება მოლაპარაკების გზით ვერ იქნება მიღწეული მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს;
8.2 ამ ხელშეკრულების რომელიმე ცალკეული პირობის/პირობების ბათილობა გავლენას ვერ მოახდენს მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობის/პირობების ბათილობაზე. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ბათილი პირობით დასახული მიზანი.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსრულებელი:	დამკვეთი:
შპს „სენტა ინსპექტირების ცენტრი" ს/ნ: 404548771 სს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE37BG0000000034148800 მის: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავს ქ. № 37-39, 7 სართული, საოფისე ფართი: 602 დირექტორი სანდრო რაზმაძე Sandro Razmadze Digitally signed by Sandro Razmadze Date: 2021.01.06 18:56:51 +04'00'	**სახელმწიფო აუდიტის სამსახური** ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა"; ბანკის კოდი:TRESGE22 ა/ა:GE24NB0330100200165022 ს/კ 202051956 საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დავით ქინქლაძე STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA Digitally signed by STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA Date: 2021.01.06 11:53:06 +04'00'